ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3742060

ნომერი: AR1565294

თარიღი : 16.12.2017

გაცემის თარიღი : 22.12.2017

გაცნობის თარიღი : 22.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N 4-6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N 4 , (ნაკვეთი N4/118) / ქალაქი თბილისი , ჭირნახულის ქუჩა N4 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N 4 , (ნაკვეთი N4/117) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 16 დეკემბრის AR1565294 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჭირნახულის ქუცა N4-6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.14.004.219) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცებას მაღაზიებისა და საწყობის განთავსების მიზნით,
პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო მიწის წარმოდგენს ვრცელ გაუნაშენიანებელ ტერიტორიას (13900 კვ.მ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისთვის უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მიხედვით დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით და განაშენიანების რეგულირების წესების მესამე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება სავალდებულოა, როდესაც ხორციელდება 7000 მ2 (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება; განაშენიანების რეგულირების გეგმა განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს, ნორმალური საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად ტერიტორიის ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი ობიექტებით უზრუნველყოფას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 16 დეკემბრის AR1565294 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.